



ქოველ კვირეული საზოგადო. აკონო-

მიური და სალიტერატურო შუროალი

წელიწადი მეორე

ცალკე ნომერი 5 კაკ.

რედაქცია ღიაა 10—1 საათ.

ქისა:მართი: თბილისი, გაბაევსკიი პერ. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპუტისა: თბილისი კლდე.

ს ა რ ხ მ ვ ი:

- |   |  |
|---|--|
| <p>1. შეკითხვა გაზეთ „კავკასის“ რედაქტორს.</p> <p>2. ზოგიერთ ჩვენ მოდგაწეთა სეკურადღებოთ.— . . . ვ. ღამბაშიძისა.</p> <p>3. ისინი და ჩვენ.— . ეკალისა.</p> <p>4. არაგვი.—ლექსი . ორენასი.</p> <p>5. დეთის - მშობლის თინაზი.—თარგ. ალ. სარაჯიშვილისა.</p> <p>6. უკანასკნელი ამბები.</p> | <p>7. ანტონ ფურცელაძის სსოვნას.— . . . ეკ. გაბაშვილისა.</p> <p>8. სერვიტუტები.— . გ. ნ — ისა.</p> <p>8. ჰატარა ფელეტონი.— გორელისა.</p> <p>9. ქართველი მაჭმაღლანი ქალი ქართულ სკოლაში.— . . . ი. კერესელიძისა.</p> <p>10. სრ. რუსეთის შეურნეთა კრება ქ. კიკუში.— . . . გ. ნამორაძისა.</p> <p>11. ქართული თეატრი.— რაესი.</p> |
|---|--|

# შეკითხვა გაზეთ „კავკასის“ რედაქტორს

მოწყალეო ხელმწიფევე! ახალ ეგზარქის მომავალმა ჩამოსვლამ საქართველოში გამოიწვია რამდენიმე წერილი იმ გაზეთის ფურცლებზედ, რომელსაც თქვენ რედაქტორობთ. სულ უადგილოდ და უმიზეზოდ თქვენმა გაზეთმა გაიხსენა საზიზღარი და ჯერაც განზრახ გამოაუქიებელი მკვლევლობა ეგზარქი ნიკონისა. ამ მკვლევლობის გახსენებით გაზეთს აღბად აზრად ჰქონდა ჩირქი მოეცხო მართლმადიდებელ ქართველ სამწყსოსთვის და აშკარად

განაცხადა ეგზარქის ქართველებისგან მკვლევლობა. ასეთმა განცხადებამ გამოიწვია უკიდურესი გულის წყრომა მთელის ქართველობისა - საზოგადოებაში და პრესაში. პრესამ დაჰგმო თქვენი გაზეთის საქციელი, ხოლო, რამდენადაც ჩვენ ყურამდის მოაღწია, ამავე თაობაზედ გაზეთის რედაქციასთან მოლაპარაკება ჰქონდა გუბერნიის მარშალს თავად აბხაზს, მაზრის მარშალთა თანადასწრებით. ჩვენ არ ვიცით დაწვრილებით ამბები ამ მოლაპარაკებისა. არც ის ვიცით რა პასუხი მიიღო თავადმა აბხაზმა. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ მხოლოდ მასში, რომ საცა ამისთანა მძიმე ბრალდებაა, იქ თავადი აბხაზი საბუთსაც მოითხოვდა, მაგრამ გავიდა რამდენიმე ხანი იმავ გაზეთის ფურცლებზედ კვლავ გამეორდა ბრალდება იმ განსხვავებით, რომ სის-

ხლის ქორები-ქართველებზედ უფრო მეტის ცბიერებით იყო ნათქვამი. გვაქვს რა სახეში ასეთი მძიმე ფაქტი ბრალდებისა, ჩვენ თავს მოვალედ ვრაცხთ გაგახსენოთ შემდეგი ფაქტიც.

სულ ახლო წარსულში გამოქვეყნდა მეფის მოადგილის გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის მოხსენება, სადაც დაწვრილებით იყო აღნუსხული მთავრობის შეხედულება კავკასიის ვითარების შესახებ. მოხსენების იმ ადგილებში, რომლებმაც კი ჩვენამდის მოაღწიეს, და სადაც გრაფი საქართველოს ეხება ჩვენ ვერ ვნახეთ ვერც ერთი ისეთი ადგილი, რომელიც დაახლოვებით ნიშანს მინც იძლეოდა იმისას, რომ ქართველებს ბრალად ასეთი მძიმე დანაშაული ედებათ. ჩვენ არც ის გვგონია, რომ გრაფი განზრახ მალავდეს ისეთ თვალსაჩინო მოვლენას, რომ ერი, რომელიც ას წელიწადზედ მეტია იმპერიის სამხედროებში იმყოფება, შესაძლებლად ხდიდეს მღვდელმთავრის ავაზაკურად მოკვლას, თუნდაც არაკანონიურისაც, როგორებადაც ჩვენ მიგვაჩნია რუსი ეგზარქები. ექვს გარეშეა, ასეთ მოვლენას მეფის მოადგილე მათს უდიდებულესობას ვერ დაუმაღავდა, თუ კი მას ჩვენში ადგილი ექმნებოდა, რაკი ეს არ არის უქვეშევრდომილეს მოხსენებაში აღნიშნული, სჩანს არც ბრალდება არსებობს და ჩვენც ეს უკანასკნელი მიგვაჩნია მთავრობის ოფიციალურ შეხედულებით.

გვაქვს რა მხედველობაში სწორედ ეს უკანასკნელი გარემოება, საჭიროთ მიგვაჩნია მოგმართოთ შემდეგის კითხვით, მოვალეა თუ არა გაზეთი „კავკაზი“ გაიზიაროს უმაღლეს მთავრობის აზრი და როგორ ხდება, რომ ერთსა და იმავე მოვლენის შეფასებაში მთავრობის უნცროსი აგენტები ასე განსხვავდებიან უმაღლეს მმართველობისაგან? ორში ერთია: ან მთავრობას არა სწამს ქართველობის დანაშაული ეგზარქი ნიკონის მკვლელობაში და მაშინ თქვენ უფლება ადარა გაქვთ ავრცელოთ სისხლის ქორები, ან და გაზეთი „კავკაზი“, როგორც ოფიციალური დაწესებულება, ძალიან კარგად არის საქმეს გაცნობილი, დარწმუნებულია ქართველების დანაშაულში, მაგრამ მაშინ ჩვენ გვაოცებს უქვეშევრდომილესი მოხსენება, რომელშიაც ქართველების ასეთ მძიმე დანაშაულზედ ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი.

გახსლებთ რა ამ შეკითხვას, ჟურნალ „კლდეს“ რედაქცია იმედოვნებს, რომ ამ საკითხს გულ-დას მით მოეკიდებით.

## ზოგიერთ ჩვენ მოღვაწეთა საუბრადლებოდ

მას შემდეგ, რაც საქართველომ თავი დააღწია იმ განადგურების და გადაშენების იდეებს, რომელთა მქადაგებელი მას ბარბაროსებივით შემოესივნენ, ეროვნულმა თვითცნობიერებამაც ძლიერ იმატა. დღეს ყველასათვის ცხადია, რომ ჩვენმა ერმა სულ სხვა გზა ამოირჩია თვისი ბედნიერებისა და თავისუფლების განსახორციელებლად. მას აღარა სწამს იმ „ფილოსოფოსთა“ „თეორიები“, რომელთაც მიზნად ჰქონდათ ერის დაღუპვა და მისი სამუდამოდ მოკვლა. მოტყუებულმა და აბუჩად ავლებულმა, გაღატაკებულმა და უცხოელთათვის მსხვერპლად შეწირულმა ქართველმა ერმა იგრძნო თვისი უბედურება და ბრმა და ჭკუა დახშულ „განმანათლებელთ“ ზურგი შეუბრუნა.

განა გულშემზარავი არ არის მთელი ერის მიერ თვისი თავის უარისყოფა? განა დიდ უბედურებად არ უნდა ჩათვალოს ბრძოლა ერისა თვისი ისტორიის და კულტურის წინააღმდეგ? ერის მოწინავე ინტელიგენციის მიერ ამხედრება საკუთარის ენისა და მწიგნობრობის წინააღმდეგ? დიად, ეს თავის-თავის უარისყოფა, თვისი ისტორიის, კულტურის, მთელი თვისი დიდებული წარსულის აბუჩად ავლება, ჩვენში აშკარად ხდებოდა.

მაგრამ ხალხმა გაიღვიძა. სოციალიზმის სახელით დაღუპულმა ერმა თვისი მდგომარეობა უფრო მეტი სინამდვილით გასინჯა. და კიდევ რომ ამ გასინჯვამ იგი საბოლოოდ გაანთავისუფლა დამშეულ ფანატიკოსთა ხელთაგან. დღეს იგი, ერი, ახალ მუშაობას იწყებს: მან გაიხსენა თვისი წარსული, კვლავ შეიყვარა თვისი ენა და თვისი ეროვნული აღორძინება უპირველეს საჭიროებადა სცნო.

მართალია, ესეთი გადამუშავება ჩვენი აზროვნებისა, ესეთი გაცოცხლება ჩვენი კულტურისა ნელ-ნელი ნაბიჯითა სწარმოებს. მაგრამ თავს უკვე კუშველეთ, რადგან დაწყებული საქმე უნდა ბოლომდის მივიდეს. იმედმა კვლავ გაიღვიძა და შინაური თუ გარეული მტერი ვეღარ შეგვაშინებს.

\* \* \*

მაგრამ ისიც ცხადია, რომ ეროვნულ ასეთ აღორძინებას სჭირია რაიმე ფორმა: ეს ფორმა კი უნდა შეეფერებოდეს თვით ხალხის შემეცნებას და

მის შეგნებულ მუშაობას. ერთი სიტყვით, ნაციონალურ თვითშემეცნებას თან უნდა მოჰყვეს მთელი ერის შინაური თუ გარეშე ინტერესთა სისტემატიზაცია. შეგნებულ ერს აღარ ჰყოფნის ფრაზები, ბავშვური სიყვარულის დეკლამაციები, „პატრიოტული“ სტატიები და „პატრიოტული“ ფანტაზიები. მას სჭირდება მკაფიო პროგრამა თვისი რეალური ინტერესებისა, მკაფიო მეთოდი იმ ბრძოლისა, რომელმაც იგი უნდა იხსნას განადგურებისაგან და შემოსეულ მტერთა დაპყრობისაგან. საკმარისია, რომ შევხედოთ სხვა პატარა დამორჩილებულ ერთა ბრძოლას ცხოვრებისათვის, რომ დავრწმუნდეთ ასეთი პროგრამის აუცილებლობაში. და აი სწორედ აქ სდგება საკითხი! გვაქვს თუ არა ჩვენ, ქართველებს, ასეთი პროგრამა მოქმედებისა და აქვს თუ არა ჩვენ ბრძოლას არსებობისათვის რაიმე სისტემატიური, გამაერთიანებელი ხასიათი?

უნდა ვაღვიაროთ, რომ ჩვენ ნაციონალურ აღორძინებას თან დაჰყვა ის სიმპტომები, რომლებიც ახსიათებდნენ ჩვენ ანტი-ეროვნულ სიავადეს: რეალურ ინტერესთა შეუგნებლობა, ფანტაზიებით სავსე არტილერიის ხმარება ბრძოლაში. ამას თან მოჰყვა ზოგიერთ ჩვენ ეროვნულ მოღვაწეთა შიში მოწინააღმდეგეთა წინაშე და მათი არ-შიყობა დამღუბველ თეორიებისადმი. მათი შეგნება ვერ ბედავს მკაფიო ფორმის მიღებას, მათი მოღვაწეობა ვერ ბედავს კატეგორიული ხასიათის შექმნას. მთელს მათ მოქმედებას რაღაც შეშინებული, არა-პირდაპირობის ელფერი სდევს. და ვინაიდან მათ არ ძალუძთ ეროვნულ აღორძინების საქმეს მისცენ რეალური უტოპიებისაგან თავისუფალი, პროგრამა, ჩვენი მოღვაწე ინტელიგენციის ერთი ნაწილის მუშაობაც რაღაც ბუნდოვანი, ვაურკვეველია.

ამ ნაწილს ჩვენი ინტელიგენციისა არც წვადის დაწვა სურს და არც შამფურისა. თვის მოქმედებას-მოღვაწეობას ეროვნულადა სთვლის და ამასთანავე ქართველობის ერთს ნაწილს უსაზღვრო ფანტაზიებით ამიწებს და თავიანთ მოწინააღმდეგეთ თვის უკიდურეს რადიკალიზმში არწმუნებს.

განა შესაწყნარებელია, რომ ეროვნების და ერის იდეალთა მატარებელ მოღვაწეთ თავიანთ მოქმედების საფუძვლად რაღაც ორქოფული, უცხოელთა მიერ შექმნილი და მთელი ჩვენი ეხლანდელი მდგომარეობის მიერ უარყოფილი, იდეა ედოს? განა შესაწყნარებელია, რომ ამ მოღვაწეთ სასარცხვილოდ მიაჩნდეთ პატრიოტის ეთიკეტი და

თავიანთ ეროვნულ მოღვაწეობას სოციალურ თეორიებს უმორჩილებდნენ? რასაკვირველია, ჩვენ კარგად ვიცით, რომ ბევრ ამ მოღვაწეთათვის სოციალურად უტოპიური თეორიები მხოლოდ მოწინააღმდეგეთა მოსატყუებელი საშუალებაა, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ესეთი შემეცნება თვისი ვალდებულობისა ნიშნავს მათ, ამ მოღვაწეთა, მორალურ და გონებრივ მშინარობას.

\* \* \*

ჩვენ გვჭირდება, როგორც ამას ზემოდ ვამბობდით, მკაფიო რეალური პროგრამა. ჩვენი ერის რეალურ ინტერესთა შეგნებაზე დამყარებული ასეთი პროგრამა შეუძლებელია, თუ ჩვენ კატეგორიულად, პირდაპირ უშიშრად არ განვაცხადებთ: თუ როგორნი არიან ჩვენი ინტერესები, თუ ვინ არის ჩვენი მტერი და ვინ არის მოყვარე, თუ რა გვსურს და როგორა გვსურს. მხოლოდ ასეთ პროგრამას შეუძლია სამუდამოდ მოისპოს ჩვენში ხელოვნურად შექმნილი ორქოფული პირობები ჩვენი ეროვნული მუშაობისა და გააერთიანოს ერის ყველა ნაწილები მათ საერთო რეალურ ინტერესთა შემეცნებითა. რასაკვირველია, ესეთი პროგრამის შექმნას ერთგვარი გმირობა სჭირდება, რადგან ბევრ ჩვენ მოღვაწეთათვის პოლიტიკური და სოციალური ზომიერობა სასიროცხვოა, მათთვის მხოლოდ უკიდურესობას და იდეურ ორიგინალობას აქვს მნიშვნელობა. მაგრამ თვით ნაციონალური თვით-შეგნება აიძულებს ყველას ჭკუიანად და მორიდებით მოეპყრან ეროვნულ საქმეებს.

რასაკვირველია, რომ ჩვენს მუშაობას ხანდის ხან, „დიპლომატიური“ მოქმედებაც დასჭირდება. ყველას ვერ გეტყვით, თუ რას ვშვრებით, ყველას ვერ მოგიწვევთ ჩვენ ეროვნულ ბანკეტზე, ყველას ვერ გადვუშლით ჩვენს სულს და გულს, მაგრამ ამის და მიუხედავად ჩვენ შეგვიძლია აშკარად, საქვეყნოდ ვაღიაროთ ჩვენი უფლებანი, აშკარად და საქვეყნოდ გამოვაცხადოთ ჩვენი ეროვნული სრულწლოვანება და თავისი თავისმორჩილებისაგან დაღწევის სურვილი: ეს მორჩილება იქნება პოლიტიკური თუ ეკონომიური აშკარაა, რომ დღევანდელ პირობებში არც ისრე ადვილია ასეთი პროგრამის ცხოვრებაში გატარება. ჩვენს კულტურულ გამოცოცხლებას, ჩვენ უფლებათა დაცვას წინ აღუდგებიან მტერნი მრავალნი მაგრამ განა ამან უნდა შეგვაშინოს? განა შესაძლებელია ბრძოლა არსებობისათვის, რომ ვინმეს ან რასმეს არ შევებრძოლოთ?

ამაზე ბევრი ლაპარაკი აბა რა საჭიროა! მაგრამ ვინაიდან სხვა და სხვა გვარ პირობებთან გვექნება ბრძოლა, საჭიროა, რომ მუშაობასაც სისტემატიური და ერთსულოვანი ხასიათი ჰქონდეს. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კულტურული მუშაობა რაციონალურ საფუძველზე იქნება დამყარებული, რომ თუ ხალხში შევიტანთ არამც თუ განათლებას არამედ მასში გავალრმაგებთ ეროვნულ და თვით-შემეცებას და მის გულში გავაღვიძებთ პატრიოტულ გრძნობას. მხოლოდ შეგნებულ ჰკუიან პატრიოტიზმს შეუძლია ერის გამაგრება და მისი მომავლის ბედნიერებად შექმნა ესეთი ახრი ისრე მართალი, ისრე დაურღვეველი აქსიომაა, რომ ყველა თავისუფალმა ერმა მხოლოდ მისი შეგნებით იხსნა თავი განადგურებისაგან.

\* \* \*

მაშასადამე ეროვნულ გრძნობის და პატრიოტიზმის გასაღვიძებლად ჩვენში საჭიროა კულტურული მუშაობა. ამ მუშაობაზე ბევრს არას ვიტყვი. იგი ყველასთვის, ვინც საქართველოსათვისა ზრუნავს, მკაფიო და აუცილებელ მოთხოვნილებას წარმოადგენს. ამ მუშაობას ჩვენში უკვე ფართო ხასიათი მიეცა, რასაც თან დაჰყვა სკოლებისა და ჟურნალ-გაზეთების გამრავლება. წიგნთ-გამომცემლობის აღორძინება და სხვა. აქ გვსურს მხოლოდ ორიოდე სიტყვა ვსთქვათ ჩვენი ერის ეკონომიური აღორძინების შესახებ. ექვს გარეშეა, რომ თუ კულტურულ მუშაობას, თან არ მოჰყვა ეკონომიური მუშაობაც, ჩვენ ძნელად დავაღწევთ თავს ჩვენს ღღევანდელს მდგომარეობას. საჭიროა, რომ ეკონომიურად საქართველომ წელი წამოიდგას და სხვის ბატონობას თავი დააღწიოს. ამას კი სჭირდება ერთი მხრით ჩვენი მეურნეობის, მრეწველობის და ვაჭრობის თანამედროვე შინაარსით გაღვიძება-განვითარება, და მეორეს მხრით ჩვენი მიწა-წყლის და ჩვენ მიერ შექმნილი საქონელის შემოსეულ ერისაგან დახსნა. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა არის საჭირო ქართულ მეურნეობისათვის. იგი არის საფუძველი ჩვენი ცხოვრების და მის საბედნიეროდ უკვე მუშაობენ შეგნებულნი და საქმის მკოდნე პირნი. დროსთან ერთად ისიც გამაგრდება და მასზე დამყარებულ იმედებს გაამართლებს. რაც შეეხება მრეწველობას და ვაჭრობას—აი სად გვჭირდება განსაკუთრებული ენერჯია და შეუპოვარი ბრძოლა. რაც უნდა ჩვენი თავი კაცობრიობის მოყვარულად გამო-

ვაცხადოთ, რაც უნდა ვეცადოთ ზთვიეროთ ჩვენ გრძნობათა გულში ჩაკვლა, ამ დარგთა აღორძინება და მოკიდებულია იმისაგან, თუ როგორ მოვიქცევით ჩვენ სომეხთა საკითხში, ე. ი. ჩვენი ეროვნული ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება სრულიად დამყარებულია იმაზე, თუ როგორ მოვიქცევით იმ ხალხის წინაშე, რომელმაც თავისი კომერციისა და მრეწველობის ბაზისად ჩვენი ქვეყანა გაიხადა.

ამგვარად, თუ პირველი პუნქტი ჩვენი ეროვნული პროგრამისა უნდა შეადგენდეს განათლების შეტანას ხალხში და მასში ეროვნული შეგნების პატრიოტიზმის განვითარებას, მეორე პუნქტი ამავე პროგრამისა უნდა იქმნეს შემუშავება თავის დაცვის შეგნებისა შემოსეული ერებისაგან.

თუ რატომ არის საჭირო ესეთი შეგნება, თუ რისთვის ვერ შევძლებთ ჩვენ ქართველები, ჩვენ ეკონომიური აღორძინების განხორციელებასთან ერთად სომეხებთან ძმურად ცხოვრებას, ამას მომავალ წერილში ვაჩვენებთ მკითხველს. აქ კი საჭიროა ვსთქვათ, რომ თუ კულტურულად სომეხები ჩვენ ვვრას გვაკლებენ, ეკონომიურად ისინი ჩვენ პირდაპირ სასტიკ ბრძოლას გვიცხადებენ. და მხოლოდ ერთი ნიმუში აგრესიული პოლიტიკის და ჩვენი ეროვნული მათგან თავის დაცვის შეგნების შექმნის საჭიროებასა: სომეხმა მანთაშევმა შიგ\*შუაგულ ქართლში შეიძინა დიდი მამული, რომელიც გადაგვარებულმა ქართველმა ჩაუგდო ხელში.

### ვ. ლამბაშიძე.

ლონდონი.

## ისინი და ჩვენ

ისინი ამბობენ—კარგი სომეხი, ჩინებული ვაჭარი, განათლებული კომერსანტი, მდიდარი მრეწველი, ნაღდი ვექსილი, სარგებელი, ბანკი, მილოვი, ხატისოვი, ეჩმიადინი.

ჩვენ ვამბობთ—კარგი სოციალისტი, იდეური ფედერალისტი, დიდებული კრიტიკოსი, ვალეგი, ნედოიმკები, ვექსილის პროტესტები, რუსული გაზეთები, ფ. მახარაძე, ფ. მახარაძე, ფ. მახარაძე.

ისინი სწერენ—სომხის საკითხი, სომხის საკითხზე, სომხის საკითხით.

ჩვენ ვსწერთ—განხეთქილება ს.-დ. ფრაქციისა, ს.-დ. ფრაქციის განხეთქილება; განხეთქილება სოციალისტურ ფრაქციისა.

ისინი ქადაგებენ—ააშენეთ ბანკები, აქციონერული საზოგადოებანი, სავაჭრო სახლები და სკამეთ თქვენი მტრები.

ჩვენა ვქადაგობთ --ააშენეთ ახალი კლუბები, სკამეთ ერთმანეთი, სკამეთ თქვენი თავი.

- ისინი ყიდულობენ — ჩვენ ვყიდით
- ისინი აშენებენ — ჩვენ ვანგრევთ
- ისინი მდიდრდებიან — ჩვენ ვლატაკდებით
- ისინი ხარხარებენ — ჩვენ ვსტირით.

ეკალი.

# ა რ ა გ ვ ი

მოანი ცის კიღურს მიჰსვენებთან,  
 დაბლა არაგვი მიშხუის, მიჰყეფს;  
 უფსკრულნი ბანსა ეუბნებთან  
 მის ცრემლ-მორეულ მწუხარე ზვირთებს.  
 არაგვო—ცრემლო ქართლოსის ძეთა —  
 ჭირისუფალო დიდი წარსულის,  
 ვის უმღერ ჰანგსა მგლოვიარეთა,  
 ვის უმღერ ჰანგსა, გამკვეთსა წყლულის?  
 რა ხანი არის ჰქვითინებ მწარედ,  
 მაგრამ არ გვეტყვი ჰქვითინის საგანს;  
 რისთვის დასტირი ივერსა ცხარედ,  
 როგორც მშობელი ცარიელს აკვანს?..  
 მელნის საჭურჭლედ მოვიდგი გული,  
 გული აღსავსე ნაღვლით და სევდით,  
 შიგ ვაწებ კალამს ცრემლმორეული  
 და ვწერ, თუ ქართლით ვით გამოვძევდით.  
 არაგვო, მითხარ: შენც ამ ვაებას  
 ამ ბედსა სჩივი დევნილთა წესით,  
 თუ იხსენიებ მიცვლილს დიდებას  
 მშობლიურ ოხვრით, მშობლიურ კენესით?!.  
 მაგრამ ეჰ, ვიცი; როცა ხელეზზე  
 ადევთ ბორკილი, გულისა მგვემლი,  
 დაცემულ ერის გმირთ ნანგრევებზე  
 გაისმის ხოლმე ლაჩრული ცრემლი!

ორენა.

# ღვთისმშობლის ოინბაზი

(ანატოლ ფრასისის)

## I

ღუღაფაკო მეფის დროს იყო საფრანკეთს ერთი სწავალი ოინბაზი, სდაობით კომპიენელი, სახელად ბარნაბა, რომელიც ქალაქ-ქალაქ დადიოდა და აჩვენებდა ხალხს თავის ღონესა და სიმარჯვეს.

ბაზრობის დღეს გამოვიდოდა მოედანზე, გაიშლიდა ძველსა და გაცვეთილს ხალხსა, და ჯერ რომ ემაწვილდები და უქმი ხალხი მოეხადებინა, მოჰყუებოდა ხუმრობას, რომლებიც ერთის ძველის ოინბაზისაგან ესწავლა, და რომელსაც შეუცვლელად იმეორებდა. მერე უცნაურად დაიგრიბებოდა და ცხვირზედ შეურხეველად კალის თეფშს შეიღვამდა.

ხალხი ჯერ უგულოდ უტყარდა.

მაგრამ როცა უირაზედ შემდგარი ექვსს ბრჭყვიანავს სზიღენძის ბურთს ფეხებით ააგდებდა და დაიჭურდა; ან როცა ისე გადისრებოდა, რომ კეფას ქუსლებზედ მიიტანდა და ტანს ბორბალსავით დაარგვავებდა, და ამავე დროს თორმეტს დანას ჰქერში შეათამაშებდა, მაშინ ხალხში გაისმოდა გაკვირვების ხმა, და მისს ხალიჩაზედ ფული წვიმასავით მოდიოდა.

მაგრამ კომპიენელ ბარნაბას შინც უჭირდა ცხოვრება ისევე, როგორც ბეგრს სხვას, ვინც თავის ნიჭით თავს ირჩენს.

თუმცა ოფლითა ზირისა თვისითა შოულობდა ზურსა თვისსა, მაგრამ იტვირთოდა უმეტეს თვისის წილისა ჭირთა, რომელნიც მოსდევდნენ ცოდვასა მამისა ჩვენისა აღამისსა.

ამას გარდა რამდენიც სურდა იმდენს ვერ ხელაგნობდა. მის უცნო ხელობის გამოსახენად, როგორც ხეხილს უკავილისა და ჩუოფის გამოსადებად, მზის სითბო უნდა ჰქონოდა და დღის სინათლე. ზამთარში უფურცლო ხესავით იყო, თითქმის მკვდარი. გაეინული მიწა ოინბაზს რადი სწავლობდა. და ვით საარაკო ჭრიჭინას ზამთრობით სიცივე და შიმშილი აჭირვებდა. მაგრამ, რადგანც უბრალო გულის კაცი იყო, თავის ჭირს მოთმინებით იტანდა.

თავის დღეში არ დაფიქრებულა სიმდიდრის წარმოდენაზე და არც კაცთა უოფის უთანასწორობაზე. მტკიცედ კი სწამდა, რომ საქათო თუ ცუდია, საიქო აუცილებლად კარგი იქნებაო, და ეს იმედი გულს უმხნეებდა. არა ჰგვანდა იმ ქურდ-ბაცაცა და ურწმუნო ოინბაზებს, რომელთაც თავიანთი სული ეშმაკისთვის

მოუეინიათ. არას დროს არ დაუგმია სსხელი ღვთისა; სცხოვრებდა ზატიოსნად, და თუმცა ცოლი არა ჰქონდა მაგრამ გული არ უთქმია ცოლისათვის მოუერის თვისისა, ვინათგან დედაცა მტერია ძლიერის კაცისა, რასცა ცხადჰყოფს ამბავი სამოსისა, სამღკთო წერილში მოთხრობილი.

მართლად, არ იყო ამოელი ხორციელის სერვილისა, და უხელადდ ეოფნა უფრო ეძლეობდა, ვინემ უდელაგროდ, რადგანც, ზომიერების გარდაუსულელად, უეგარდა სმა, როცა ცხელოდა. იყო კაცი ზატიოსნი, ღვთის-მოსიში და მეტადრე ეოვლად-წმიდის ქალწულის მოსავი. ეკლესიაში ისე არ შევიდოდა, რომ ღვთის-მშობლის ხატის წინ მუხლი არ მოეყარა და არ შეეგდრნა:

„დედა ღვთისაო, იზრუნე ჩემის ცხოვრებისათვის, ვიდრე ღმერთმა იხებოს ჩემი სიკვდილი. და როცა მოეკვლე მომანაჰებინე შეგანა სსხეეეკლისანი.“

II

ერთი სლამოს, წვიმიანი დღის შემდეგ, როცა ბარნაბა დადონებულა და მოკუსული, თავის ძველს ხალიხში გახვეულ და იღვიაში ამოდებულ სწილენძის ბურთებითა და დანებით, ქუჩაში მიდიოდა და ეძებდა თავის შესაფარს, რომ უვანშობლ დაქიხა, შეხვდა ერთი ბერს იმავე ცხით მაშავლს, და ზრდილობიანად მიესალამა. რადგან თნივე ერთის ნაბიჯით მიდიოდნენ, ერთმანერთს გამოელაზარაკენ.

— ამხანაგო, ჰქითხ ბერმა, რადა ხარ თავით ფუხამდე მწიგნულ ჩანმული? რომელსაქ მისტერიაში მსხარას ხომ არა თამაშობ?

— სულაც არა, მამაო, მიუგო ბარნაბამ. აი როგორსაც მხედავთ, სახელად ბარნაბა მქვიან და ხელობით თინაზი გახლავარ. ამ ხელობაზედ უკეთესი ქვეყანაზე არა იქნებოდა რა, ეოვლდ დღე რომ ზურს იძლეოდეს.

— ძმაო ბარნაბა, უთხრა ბერმა, მოუფიქრებლად ნუ ლაზარაკობ. მონაზონობაზე საუკეთესო ხელობა არა არის რა. მონაზონობაში ადიდებენ ღმერთსა, ღვთის-მშობელსა და წმიდათა, და მოწიხის სიცოცხლე განუწყვეტელი უფლისა მიმართ ქებას.

ბარნაბამ უპასუხა:

— მართლს ბძნებთ, მამაო, სიბრეევით მომივიდა როცა ვსოქვი. თღონდაც, თქვენი ხელობა ჩემსს ვერ დაედრება. თუმცა დიდი ღირსებაა, კანმა რომ ცხვირზედ ჯოხი შეიდაცა, ჯოხზე დრამა და ისე იცეკვოს, მაგრამ კვ ღირსება მაინც თქვენსს ვერ შეეწონება. ნეტა მეც თქვენსავით, მამაო, ეოვლდ დღე წირვას ვწირავდე, მეტადრე ეოვლად წმიდას ქალწულსა, რომელსაც განსა-

კუთრებით თაევისს ვცემ. დიდის სიამოვნებით ხელს ავიღებდი ჩემს ხელობაზედ, - რომლითაც ვაკოთქვი სახელი სუასონიდან მოყოლებული ბოვემდე ქვესსს ქალაქსა და სოფელში,—და ბერად შეეგებოდი.

თინაზის წრეელობამ ბერს გული მოულობ და რადგანაც გამოთხევა არ აკლდა, სცნა რომ ბარნაბა ერთი იმ მართალ კანთაცანი იყო, რომელთაზედა უფალმა ჩვენმა სოქვა: „იუან მშვიდობა მათთანა ქვეყანასა ზედა!“ და ამიტომაც მიუგო:

— წამომეუე, ძმაო ბარნაბა, და აღიკვეცე ბერად იმ მონასტერში, სადაც მე წინამდგარა ვარ. ვინც მიეუვანა უდაბნოს მარიამ ეგვიპტელი, იმან შეგვარა ჩვენ რათა წაგიძლეე გზას ცსონებისსა.

ასე შედგა ბარნაბა ბერად.

იმ მონასტერში სცა ის აღიკვეცა, ბერები გაჯუფთებით მსახურებდნენ ეოვლად წმიდას ქალწულს, და მისს სადიდებლად თითოეული იღვწოდა ეოვლის მეტნიერებითა და ეოვლის ხელოვნებითა, რომელიც ღვთისაგან ჰქონდა მინიჭებული.

წინამდვარი, კერძოდ თვისად, სთხზავდა წიგნებს, სადაც განიმარტებდნენ, სქოლასტიკის წესისებრ, სათნობანი დელის ღვთისისანი.

მამა მავრიეე გადმოწერდა ამ თხზულებებს განმოდდილის ხელით გაეშვილს ქალდაღზე.

მამა ალექსანდრე ამკობდა ამ წიგნებს ტურთვა ნახტებითა. ხატავდა ზეციერს დედოფალსა, მჯდომარეს სოლომონის საეარზე, რომელსაც იცავდნენ თხნი ღომნი. მის სხივ მოსილის თავის გარემო დაჭვრინავდნენ შვიდნი ტრწდნი, რომელნიც არიან შვიდნი ნიჭნი სულისა წმიდისანი: ნიჭნი სიბრძნისა, განიერებისა, რჩევისა, სიმხისა, ცოდნისა, ღვთის მსახურებისა და ღვთის შიშისა. ღვთის-მშობელს ახლდნენ ქვესნი ქალწულნი თქროს თმანანი: კანთ-მოევარება, კეთილ-გონიერება, განმრტობა, ზატივი, ქალწულობა და მორჩილება.

მის ეეხითთ გამოხატული იყო ორი ზატარა ადა მინი შიშეელი და სპეტაკი, მუხლ-მოერილი და ხელ-აზეობილი. ესენი იეენენ სულნი, რომელნიც თავიანთის ცხონებისათვის ეეედრებდნენ, დიდამც არა ამოდ, მისს ეოვლად ძლიერს შეოხესას.

სხვაგან მამა ალექსანდრე ხატავდა ევას ზირისზირ მარამისს, რათა ერთბამად ინახებოდეს ცოდვაცა და ხსნაცა, დედაცა შეურაცხოვილი და ქალწული განდიდებული. ამავე წიგნში შეენოდა კიდევ ჯურდმული წელის ცხოველისა, წვარო დაბეჭდული, შრომანი, მთავრე, მზე და მტილი დანშული, ნახსენები ქებათა ქებაში, ბჭე ზეცისა და ქალაქი ღვთისა, და იეენენ ხატნი ესენი სსხენი ქალწულისანი.

მაშა მარბოდ იყო აგრედვე ერთი სათუთი შვილთა-  
განი მარამისი. განუწუგეტილივ სთლიდა ქვის ხატებსა,  
ამიტომ წვერ-უფვანში, თმა და წარბები მტკერით გათე-  
თრებული ჰქონდა, და თვალები მუდამ დასიებული და  
ცრემლიანი; ხოლო ჟამს სხიანობის თვისისა იყო სავსე  
ჯანითა და სიხარულითა. ასე საჩინოდ ჰვარვოდა დედო-  
ფალი სასუფეველის თვისის შვილის სიბერესა. მარბოდ  
სახავდა ღვთის-მშობელს საფარსკლავად მჯდომისა, თავს  
არტყავდა მარგალიტით მოსხმულს სხივსა და ფეხთა  
მისთა აუცილებლად აფარებდა კაბის კალთებსა, რამეთუ  
იტყვის მისთვის წიხსწარმეტყველი: „სიძლი ჩემი —  
მტილი დახშულია.“

ხოცჯერ სახავდა ღვთის-მშობელს ივილს ერმად,  
მადლით სავსესა და თითქოს მტყუველს: „დედის მუც-  
ლით ჩემითგან დმერთი ჩემი ხარი შენ“ (ფსალმ.  
21, 10.).

იყვნენ აგრედვე იმ მონასტერში მელექსენი, რომელ-  
ნიც სთხზავდნენ ლათინურითა ენითა, ზროზად და ლექ-  
სად, ჰქვან ნეტარის ქალწულის მარამის სადიდებლად.  
იყო ერთი ჰიკარდელიც, რომელიც ლექსავდა ღვთის-  
მშობლის სასწავლებს მდაბიურის ენითა და რითმებით.

III

ხედავდა რა ასეთს ქებათა ცილობასა და ასეთს მშვე-  
ნიერს ღვაწლთა სამკალს, ბარნაბა ჰგოდებდა თავის უვი-  
ცობისა და ბეჩობისთვის.

— ვაიმეო, ოხრავდა ბარნაბა მონასტრის ბაღისში  
მარტო რომ დადიოდა ხოლმე, რა უბედური ვარ, რომ  
ჩემს ძმებსავით დირსეულად ვერ მიქია ვშიდა დედა  
ღვთისა, რომელსაც შეგწირე სიხვილე გულის ჩემისა.  
ვაიმე, ვაიმე! უხეირო ვარ და ბრიყვი, და შენს სადიდებ-  
ლად, დედავ ღვთისათა, არც სამოდვრო ქადაგების თქმა  
ვიცი, არც წესისებრ დაყოფილის თხზულების წერა ვიცი,  
არც ტურფა მსატვრობა, არც სისწორით თლილი ქანდაკება, და  
არც ლექსის თქმა ვიცი ჩათვლილის მარცვლითა და წუო-  
ბილის სიტყვითა. არა ვიცი რა მე, ვაგლახიანმა!

ასე სწიოდა და სწუხდა ბარნაბა.

ერთს სდამოს ბერები რომ სუბარში ერთობოდ-  
ნენ, ერთმა უამბო ვისიმე ბერის ამბავი, რომელმაც  
Ave Maria-ს (გისაროდენის) მეტი არა იცოდა რა. ეს  
მონაზონი უგელასკან შეძლებული იყო მისის უმეც-  
რებისათვის; მაგრამ როცა მოკვდა, ჰირიდგან ხუთი ვარ-  
დი ამოუვიდა სადიდებლად ხუთთა ასოთა Maria-ს სახე-  
ლისათა, და ესრედ გამოცხადდა სიწმიდე მიცვალე-  
ბულისა.

ეს ამბავი რომ ბარნაბას ესმა, კვლავცა გაუკვირდა  
სახიერება უფლად წმიდისა, მაგრამ ამ ნეტარის სიკე-

დილის მაგალითმა ნუგეში მაინც ვერა სცა. რადგან მე-  
ტად გულმოდგინე იყო და სწადდა სამსახური თვისის  
დედოფლისა, რომელი არს ცათა შინა.

ექებდა ამისთვის დონესა და ვერ მზავნელი დღე-  
თი-დღე უფრო სტყუნავდა. მაგრამ ერთს დილას ადგა  
მხიარული და გაიქცა ეკლესიისკენ, სადაც ერთს საათზე  
მეტი მარტო დაჰყო. ნასადილევს ხელმეორედ მივიდა.

და ამას იქით უფველ დღე მიდიოდა ეკლესიას,  
როცა იქ არავინ იყო და რხებოდა იქ სანამ სხვა ბერები  
თავიანთ ხელოვნებასა და ხელისნობაში ვარჯიშობდნენ.  
ახლა ადარც სწუხდა და ადარც სწიოდა.

ასეთმა უცმაურმა უოფა-ქცევამ ბერები გააკვირვა.  
ერმანეთს ეკითხებოდნენ, ნეტა რას იმალება ეკლესიაში  
ეგრე მალ-მალე ძმა ბარნაბაო.

წინამძღვარმა, რომელსაც ვადად სძვეს იცოდეს უო-  
ველი წვლილი ძმების ცხარებისა, განიზრახა თვალ-  
ური ედვენა ბარნაბასათვის მის მარტობის დროს. და  
აჰა, როცა ბარნაბა ჩვეულებრივ ეკლესიაში ჩაკეტილიყო,  
უფალი წინამძღვარი, მონასტრის ორის ხუცესის თანა-  
ხლებით, მივიდა რომ კარის ნახვრეტით შეეხებინა ეკ-  
ლესიაში რა ხდებოდა.

და ნახეს რომ ბარნაბა ღვთის-მშობლის საკურთხე-  
ვლის წინ თავდავირა შემდგარიყო და ფეხებით ექვსს  
სწილენძის ბურთსა და თორმეტს დანას ათამაშებდა. თა-  
ვის ნაქებს ოინებს ღვთის-მშობლის სადიდებლად აკეთებ-  
და. ორმა ხუცესმა ვერ გაიგეს, რომ ის უბრალო  
კაცი ასე ახმარებდა თავისს ნიჭსა და ხელოვნებას უოფ-  
ლად წმიდის სამსახურად, და შეძრწუნდნენ: „ვაჰ,  
მერეხელობაო!“

წინამძღვარმა კი იცოდა რომ ბარნაბა გულისთ უმან-  
კო იყო, მაგრამ ჭკუაზე შეშლილი ეგონა. სამთავემ რომ  
დააბირეს ეკლესიაში შესულიყვნენ და გამოეყვანათ, ნა-  
ხეს—უოფლად წმიდა ქალწული საკურთხეველის კიბეზედ  
ჩამოდიოდა, რომ ლურჯის მანდილის წვერით თავის  
ოინბაზისათვის შუბლზედ ოფლი მოეწმინდა.

მაშინ ჰირქვე დაეცა წინამძღვარი დასთქვა:

— ნეტარ იყვნენ წმიდანი გულისთა, რამეთუ მათ  
დმერთი იხილონ!

— ამინ! მიუგეს ხუცესებმა და მიწას ემთხვივნენ.

ალ. სარაჯიშვილი.



# უკანასკნელი ამბები

„დონის“ საადგილ-მამულო ბანკის ოპერაციები. ამ სამი წლის წინად დიდი მითქმა-მოთქმა და აურზაური გამოიწვია იმ ამბავმა, რომ ჩვენს საადგილ-მამულო ბანკებს (ქ. თბილისისა და ქუთაისისას) პარიზონტზე ძლიერი მეტოქე გამოუჩნდა. ეს მეტოქე „დონის“ საადგილ-მამულო ბანკი იყო, რომელიც კავკასიის მთავრობას სთხოვდა, რომ მასაც მიეცეს ნება ამიერ კავკასიაში, და კერძოდ საქართველოში უძრავ ქონების გირაოდ მიღებისა და მემამულეებისათვის სესხის გაცემისა. მართალია ამ მხრივ განსაკუთრებული კანონი აქსებობს, რომლის ძალით იმ რაიონში, სადაც კდეც ორი საადგილ-მამულო ბანკი მუშაობს, მესამე საადგილ-მამულო ბანკის გახსნა აკრძალულია. მართალია, რომ მაშინვე თბილისის და ქუთაისის ბანკებმა ცხარე პროტესტი ამ ბანკის გახსნის შესახებ მთავრობას განუცხადეს, მაგრამ მიუხედავად ამისა ამიერ კავკასიის მთავრობამ მაინც მოუარა არსებულს კანონს და „დონის“ საადგილ-მამულო ბანკს ნება დართო თავისი ოპერაციები გაეხსნა მარტო გორის მაზრაში (1) კანონის დარღვევას მთავრობა თავისებურად ხსნიდა: ეს საერთო მხრის ინტერესებისათვის საჭიროაო. (ВЪ ПИТЕРИЦАХЪ КРАЯ) ეხლა როგორც ნამდვილ წყაროებიდან გვატყობინებენ „დონის“ ბანკი თავის ოპერაციებს სხვა რაიონებზედაც აფართოვებს. „დონის“ ბანკის მეთაურები გაკადნიერებულნი მთავრობის დახმარებით არ ერიდებიან არაფერს, რომ თავისი მოღვაწეობა მთელ საქართველოს მოსდონ. სხათა შორის დამახასიათებელია ის ხრიკი, რომელსაც მიმართეს „დონელებმა“ თავის ოპერაციების სხვა მაზრებში გადასატანად. ყოველ მაზრაში იჭერენ ერთ-ორ მამულის პატრონს, ჰპირდებიან დიდ სესხს და მათ მამულებს იგირავენ. მერმე აღგენენ შესაფერ მოხსენებებს მთავრობისადმი, რომ აი, სხვა მაზრებიდანაც სესხებს თხოულობენო“ და ნება მოგვეცით ამ რაიონებშიაც ოპერაციების მოწყობისაო. ამგვარად „დონის“ საადგილ-მამულო ბანკი, რომლის ზურგს უკან იფარებიან ძლიერი კაპიტალისტები და მათ შორის ჩვენი ნაცნობი სომხებიც, დღეს ხვალ ძლიერ მეტოქეობას გაუწევს ქართულ საადგილ-მამულო ბანკებს, და თუ ჩვენი ბანკის გამგებლები ენერგიულ ზომებს არ მიიღებენ „დონის“-სადგილ მამულო ბანკის მოღვაწეების წინაღმდეგ შესაძლოა და აუცილებელიც,

რომ უკანასკნელი დიდ ზიანს მიაყენებს ქართულ ბანკებს— შეუმცივრებს შემოსავალს და ამით ძალიან შეაფერხებს ბევრს ქართულ კულტურულ საზოგადოების საქმიანობის წინსვლას. რასაკვირველია, ეს ფაქტი ძლიერ გაახარებს იმ პოლიტიკოსებს რომლებიც „დონის“ ბანკის უკან იმალებიან, და ვფიქრობთ კიდევ, რომ რომ ასეთ „უკანონო მეტოქეობას“ სარჩულად პოლიტიკაც უდევს, მაგრამ მასთან ღრმად დარწმუნებულნი ვართ იმაშიაც, რომ ჩვენი ბანკების მოღვაწეები ერთი მხრით და ქართველნი მემამულენი მეორე მხრით იმდენ უნარს და პატრიოტობას გამოიჩენენ, რომ პირველნი მედგრად შეებრძვიან ამ საშიშ მეტოქეს და მეორენი არ უღალატებენ თავის ნაციონალურ ბანკებს და არც ერთი თავისი მამულის დაგირაგვებას ან გადაგირაგვებას ქართულ ბანკების გარეშე არ მოახდენენ.

**სოხუმის ოლქში რუსების დასახლება.** უკანასკნელ ხანებში ქუთაისის სახელმწიფო სამიწად-მომქედლო მმართველობას მრავალი თხოვნა მოსდის შინაგან რუსეთის მცხოვრებლებისა, რომელშიაც რუსები დასახლების სურვილს აცხადებენ ბათუმის და სოხუმის ოლქში.

გაზ. „გოლოს კავკაზა“.

**„ხიზნები“ და პატრი დომინიკე მულაშვილი.** ამ ჟამად პატრი დომინიკე მულაშვილის მკვლელობას ფარდა აეხადა. ამ ცნობილ ქართველ გლეხთა მოღვაწეს და მოამაგეს ტრადიკულ სიკვდილს დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა, როგორც დამახასიათებელი ოსების „მიწის მადისა“ ქართლში და მათი განწყობილებისა ქართველ გლეხებთან.

ამ ამბავს მოგვითხრობს 15 კომლი ხიზაბავრელ გლეხებისა თავის თხოვნაში, რომელიც მიართვეს მეფის მოადგილეს ამ რამდენიმე ხნის წინად. 15 კომლი, სოფ. ხიზაბავრის (ახალქალაქის მაზრა) მცხოვრებლები (ქართველი კათოლიკეებია) მიწის სიმკირის გამო გადმოვიდნენ ქართლში საქირო მამულის შესაძენად და დაიგულეს სოფ. სკრასთან მამული, ყოფილი თავად კ. რ. შალიკაშვილისა. ეს მამული მაშინ გადავიდა საკუთრებად ქართულ სათავად-აზნაურო გიმნაზიის კომიტეტის ხელში და ხიზაბავრელებმაც მას მიმართეს. მოურიგდნენ ფასში. 1447 დესეტინას ყიდულობდნენ 40,000 მანეთად. აქედან — 20,000 მანეთი ბანკის ვალი თავისთავზედ

გადაიწერეს და დანარჩენი 20,000 მანეთი ნაღდად შემდეგ ორი წლის განმავლობაში პატრონებს უნდა ჩეებაართ. მაგრამ ამ დროს სოფ. სკრის ქართველმა გლეხებმა პრეტენზია გამოუცხადეს კომიტეტს, რატომ ჩვენზედ არ ჰყიდითო. მაშინ ხიზაბავრელებმა წინადადება მისცეს სკრის გლეხებს — შეგვიამხანაგდით და ერთად ვიყიდითო. სკრის გლეხებმაც თანხმობა გამოაცხადეს და ერთად ხიზაბავრელებთან შეიძინეს იგი, ძმურად გაიყვეს მამული და ვალი. მაგრამ აქ ქართველ გლეხთა ამხანაგობას მალე გამოუჩნდნენ მტრები. სოფ. სკრის ახლო მოსახლეობდნენ 17 კომლი ოსებისა. ერთი ჯგუფი — 5 კომლამდის სცხოვრობდა სოფ. კოშკებში — მეორე 12 კომლი სოფ. იფნარაში უკანასკნელებმა ამხანაგობას გამოუცხადეს ომი: წადით ამ მამულიდან, ეს მამული მთლად ჩვენიაო, რადგანაც ჩვენ ხიზნები ვართო. მაგრამ მათი ხიზნობა მართალი არ ყოფილა. ორივე სოფელი მთავრობამ ხიზნებად არ სცნო და არ დაამტკიცა ხიზნობაში. მაინც კოშკელები და იაგნარელები არ სცხებოდნენ. ყოველ დღე ემუქრებოდნენ: გაეხირეთ აქედან თორემ ჩვენ გაჩვენებთ სეირსო.

დაუწყეს რბევა და აწიოკება. ხან ძნას დაუწვავდნენ, ხან სახლ-კარს. ერთს დღეს ერთ-ერთ სოფ. სკრის კალოზედ უცნობები დევცნენ ძმ. კაკაშვილებს და ორივენი იქვე მოჰკლეს. კაკაშვილები ამხანაგობის ენერგიული მოთავენი იყვნენ და ყველა მის საერთო საქმეებს უძღოდნენ ამ მკვლელობის შემდეგ ამხანაგობის წევრნი ისე დამფრთხლან, რომ თუცა მაგალითად სკრის გლეხებს შეჰქონდათ ბანკში ფული, ნაყიდ მამულში შიშისაკენ ფებს არ სდვამდნენ. ხიზაბავრელებმაც უკან დაიწიეს. 7 კომლმა, რომელიც დროებით დარჩა სოფ. ხიზაბავრაში და ჯერ არ გადმოსახლებულა სოფ. სკრაში - სამუდამოდ უარი განაცხადა გადმოსახლებაზედ. ერთი სიტყვით ისეთი ატმოსფერა შეიქმნა ამხანაგობის გარშემო, რომ ყველა ამხანაგები აქეთიქით იყურებოდნენ და გაქცევას აპირობდნენ.

ამ დროს გამოჩნდა პატრი დომინიკე მულაშვილი, ცნობილი თავის სიყვარულით ქართველ გლეხებისადმი და დიდი ქართველი მამულიშვილი (ის იყო მარჯვენა ხელი განსვენებულ ისტორიკოს თამარაშვილისა) პატრი დომინიკე ჩაუდგა სათავეში ამხანაგობას და ენერგიულად შეუდგა მათი საქმეების მოგვარებას, ამხნევებდა ამხანაგებს, მშისრებს არცხვენდა და შუამდგომლობდა მთავრობასთან.

მუშაობდა დომინიკე მულაშვილი თავგამოდებით და მიიღო ჯილდოც...

ერთს საღამო ხანს შეუვარდნენ „ყაჩაღები“ დომინიკეს სახლში იმავე სოფ. სკრაში, ჯერ ხანჯლით გაუჩხეს თავი და მეტე ტყვიით მიათავეს...

ასე დაუხვდნენ ოსები პირველ ქართველ გლეხთა ამხანაგობას, რომელთაც მიწის სივიწროვის გამო მოისურვეს თავის სამშობლოში თავისუფალ მიწის შეძენა, სადაც თავის ნებით შეხიზნულა 17 კომლი ოსისა. \*)

რასაკვირველია, ამ 17 კომლსაც მიწა უჭირდა. მაგრამ განა მოსაფიქრებელია მათი ასეთი მდა? განა წარმოსადგენია, რომ ისტორიულ ქართველ გლეხს მისივე სამშობლოში, თავის მორწყულ ოფლით, ამაგით და სისხლით მიწაზედ უცხო გადამთიელნი კუნჭულსაც აღარ ანებებდნენ?!

დღეს ყველაფერი წარმოსადგენია... ყველაფერი. საიდგანდაც გადმოსროლილია ლოზუნგი: სჭამეთ ქართველები! და სჭამენ კიდევ დილით, შუადღისას, ღამე... და ყელზედაც არვის ადგება.

**ქ. კულ. მოყ. საზოგადოება** აცხადებს, რომ ოთხშაბათს! 3 ნოემბერს დეპუტატთა საკრებულოში მოხდება საზოგადოების წევრთა მორიგი კრება, რომელზედაც სხათა შორის არჩეულ იქმნებიან ახალი წევრებიც. დასაწყისი საღამოს 8 სათზედ.

**მანთაშევი ქართლში იკალათებს.** როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, აშურიანის ველი, ზომით 1100 დესეტინა, მილიონერმა მანთაშევმა შეიძინა.

ამ მამულით სარგებლობს მეტეხი და ბარნაბიანთ-კარი.

იმ 1100 დესეტინის გარდა, რომელიც მანთაშევმა შეიძინა ქართველ მემამულეთაგან, კიდევ მოიძებნება იმის გვერდზედ სხვა მამულებიც, რომელნიც თავად გიორგი ამილახვარს და ქალბატონ ნინო ზანდუკელს ეკუთვნის.

როგორც დანამდვილებით გავიგეთ, თ. გიორგი ამილახვართან და ქ. ნინო ზანდუკელთან ყოფილან ვიღაც აგენტები და ერთი ორად მეტი უძლევიათ, ვიდრე მამული ღირს. უკანასკნელთ უარი უთქვამთ მამულის გაყიდვაზედ. ახლა კი თითონ გლეხებს გაუმართნიათ მოლაპარაკება თავად გიორ-

\*) სხვათა შორის ხიზაბავრელები სთხოვდნენ ოსებს. მოდით თქვენცა, შეგვიამხანაგდითო. მაგრამ უკანასკნელებმა კატეგორიული უარი განაცხადეს. მაელი ეს მამული — 1447 დესეტინა ჩვენია და მარტო ჩვენ უნდა დაგვრჩესო!

გი ამილახვრის მეუღლესთან, რომელიც დაყაბულდება, მოგყიდით მამულს დესეტინას 100 მანეთად და, შეგიძლიანთ ნაწილ-ნაწილ გადაიხადოთო. ქალბატონი ნინო ზანდუკელიკი აი რასა სწერს თავის ნაცნობს: „იყო დრო, როდესაც ვფიქრობდი აშურიანის გაყიდვასა, თუ დიდ ფასს მომცემდნენ. ეხლა კი ძალიან დიდი ფასის მომცემიკა მყავს, მაგრამ არა ვყიდი; დესეტინა ურწყავ მამულში, რომელშიც წინად 80 მანეთს არ იძლეოდნენ, ეხლა 300 მ. იძლევიან, მაგრამ არა ვყიდიო.“ ჩვენ დანამდვილებით ვიცით გლეხებს, მეტეხელსა და ბარნიზიანთ-კარელებს, გიორგი ამილახვრისათვის და ნინო ზანდუკელისათვის 8—9 თუმანზედ მეტი დესეტინაში არ უძლევიათ. აქედან კი აშკარადა სჩანს, თუ ვინ უნდა ბრძანდებოდნენ ის ვაჟბატონები, რომელნიც ესე უღმერთოდ ახარბებენ ფასს მემამულეებს. გლეხები კი ჯერაც არ არიან დარწმუნებულნი თუ იმათი ოფლით მორწყულ მამულს ვინმე შეეხება და ხენა-თესვის ნებას არ მისცემენ.

ამ მიზეზითაც გაიტანეს გუთანი და მთელი ველი აშურიანისა, უხნავი თუ სახნავი, გადახნეს იმ იმედით, როგორც სხვას ვაძლევედით ღალას, ისე მანთაშევეს მივსცემთო. მაგრამ მოსტყუებდნენ, როცა ფარცხვის დრო მოვიდა, გლეხებმა აირჩიეს კაცები და გამოგზანეს თბილისში მანთაშევეთან, რათა ნება მიეცათ გადახნული მამულების დაფარცხვისა. მაგრამ უარი მიიღეს. ეხლა გლეხ-კაცები ხელ მეორედ ირჩევენ კაცებს იმ იმედით, იქნებ, ეხლა ზაინც მოგვცენ ფარცხვის ნებაო.

ვნახოთ რას ინებებს ბ. მანთაშევი და იმისი დამქაშები, იმედია ეხლაც უარით გამოისტუმრებენ. იმედია ქართველი საზოგადოება დატრიალდება და როგორმე გლეხებს მოარიგებს იმ მემამულეებთან, რომელთაც აშურიანის ნაწილი ჯერ კიდევ არ გაუყიდნიათ და მით თავს ააცდენს იმ უბედურებას, რომელიც მოელით ამ მამულის დაკარგვით. თორემ შესაძლებელია, დიდმა ფასებმა გასქრან და ისიც ხელიდგან გამოეცალოს, ისედაც მეხ-დაცემულ მეტეხ ბარნიზიანთ-კარელებს.

ი. კ.

## ანტონ ფურცელაძე

რამდენ რამეს ეუბნება ეს სახელი ჩემს მესხიერებას! ეს უშიშარი და შეუდრეკელი რაინდი, რომელიც ყოველთვის და ყოველგან თავის ალაგას

იღვა და ნახევარ საუკუნის განმავლობაში არც ერთხელ არ გადაუხვევია და არ უღალატნია თავის არჩეულ პოზიციისთვის.

მშვენიერი შეხედულობის ვაჟაკი, მჭერმეტყველი, ყოველთვის მხიარული, გაბედული, მამაკი, ცოცხალი მაგალითი იყო ქართულის გულგაუტეხელობის.

ყოველთვის სადა, მარტივი და მგრძობიარე, ანტონი ანდამატივით იზიდავდა ახალთაობას. იმისი სახლი, ჯიბე და მეგობრულად დროზედ გაწვდენილი ხელი გზას აძლედა მრავალ უილაჯობით გზადაბნეულ ადამიანს. იმის ოჯახში, იმის კერაზედ არა ერთი წრე ქართველის ახალგაზრდობისა გამოიქნა და შემზადდა საზოგადო საქმეების მომუშავედ.

დიმიტრი ყიფიანის სახლში მომართულის სალონის, ამ პირველის და უკანასკნელის ქართულის სალონის, სადაც აღიძრა, შემუშავდა და განხორციელდა წერა-კითხვის საზოგადოება, დრამატიული საზოგადოება, სათავად-აზნაურო ბანკის მოწყობა, ქართული გიმნაზიის დაფუძნება და სხვა მრავალი საზოგადო საქმეები ჩაისახა, სულის ჩამდგმელი და შეუღარებელი მესვეური ანტონი იყო. იმისი ცოცხალი სიტყვა, ენერგიით სავსე შეხედულობა და ჯანსაღი, ყოველ პესიმისტურ წუწუნს მოკლებული არსება, ყოველთვის გაბედულობას აძლევენ ჯერედ გამოურკვეველ ყაწვილ კაცებს. მეტადრე დიდი სამსახური მიუძღვის ანტონს ქართველ ქალთა გათვითცნობიერებაში. ის ყოველთვის მომხრე იყო ქალთა ემანსიპაციისა და ენერგიულად ეხმარებოდა, მხარს აძლედა ყველა იმათ, ვინც კი ოდნავად მაინც გამოიჩინდა რაიმე სურვილს მოქმედებისას, ძველებური ქართული ოჯახის რუტინის დარღვევისას. რამდენი ქალი გამოვიდა ანტონის დახმარებით და ხელის შეწყობით ქართულ სცენაზედ?! რამდენმა ქალმა გაბედა რუსეთს წასვლა უმაღლეს სასწავლებელში, რამდენმა ქალმა თავს იღო საზოგადო მუშაობა ანტონის ჩაგონებით.

თავისუფალი მოაზროვნე, ბუნებით რევოლუციონერი, ანტონი თავის გარშემო ყოველთვის ავრცელებდა თავისუფლების სიყვარულს.

ყოველ კრებას, რომელსაც ანტონი დევსწრებოდა და რომელი კრება მოხდებოდა ორმოცდაათის წლის განმავლობაში ჩვენში, რომ ანტონი არ დასწრებოდა, — მას შექონდა თავისი ცოცხალი სიტყვა, თავისი ცეცხლებრივი ბუნების სითბო, გამჭრიახობა!

ანტონ ფურცელაძე ისე განუყრელად იყო შეერთებული ყოველის ქართველის თვალში ყოველ ქართულ საქმეებთან და ასეთი გულითადი და წარმატატი წევრი ამ საზოგადოებისა, რომ დიდხანს, დიდხანს ვერ მივეჩვევით უანტონობას!

მე ჩემ მოკლე ზოგონებაში არ შევეხები ფურცელაძის ძწერლობის ნიქს და სიუხვეს, მის მუდმივ ზრუნვას ბეჭდვითი სიტყვის მოწყობაში, დეეის გამოიკვლიოს და ფასი დასდოს მომავალმა ქართველმა კრიტიკოსმა და მიუჩინოს იმის შესაფერი ალაგი ჩვენ ლიტერატურაში, მე მხოლოდ აღვნიშნავ მოკლედ და გაკვრით იმ საქმეებსა და საზოგადოებაზე ზედგავლენას, რომელსაც ანტონი იჩენდა ყოველთვის დაუღალავად და ვიტყვი გულ-ახდილად, რომ თვით საზოგადოება კი უმაღურად მოექცა ანტონს.

რასაკვირველია, ყველამ იცის, ყველა გრძნობს, ყველა გლოვობს ანტონის უღროოდ დაკარგვას, ქართული საზოგადოება მწუხარებით აღნიშნავს ჯერ კიდევ სიცოცხლით და ენერგიით სავსე მოღვაწის გამოკლებას და მომავალი ცხოვრების მკვლევარი მადლობით მოიხსნიებს იმის ნაშრომის სიმდიდრეს და სიუხვეს, მაგრამ გული მტკივა, გული, რომ მხცოვანს და დამსახურებულს მოღვაწეს სიცოცხლეშივე ქართველმა საზოგადოებამ საჯარო მადლობის განცხადებით გული არ მოუფონა.

უმადურება არ შეშვენის იმ ერს, რომელიც ყველაზედ მეტად უნდა აფასებდეს იმ მოღვაწეთა სახელს, რომელთაც იკისრეს და ჩინებულად შეასრულეს მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ჩვენი ეროვნული მიმკვდარებული მაჯის ცემის აღდგინება.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი კეთილო მეგობარო და წარჩინებულო მამულიშვილო ანტონ!

ეკ. გაბაშვილისა.

## ს ე რ ვ ი ტ უ ტ ე ბ ი

ხიზანთა საკითხის გარდა, ჩვენში ეხლა აღიძრა საკითხი საძოვარისა და სატყეო სერვიტუტების ლიკვიდაციის შესახებ. და ეს სწორედ რომ დროს შესაფერიც არის, რადგანაც მიწად-მოქმედებისა და მიწად-მოწყობის უწყების უმთავრეს გამგეს სახელმწიფო სათათბიროში შეაქვს კანონ-პროექტი სერ-

ვიტუტების მოსპობის შესახებ. კითხვას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვისაც, და ამიტომ საჭიროდ ვთვლი გავაცნო მკითხველებს კიევში მომხდარ სრ.-რუსეთის სასოფლო-სამეურნეო კრების აზრი ამ საკითხის შესახებ.

ამ კითხვამ კრებაზედ დიდი კამათი გამოიწვია. სულ ამ საკითხის შესახებ წარადგინეს ორი მოხსენება, რომელიც წაკითხულ იქმნა ეკონომიკის სექციის კრებაზედ. საკითხის გამოარკვევაში მონაწილეობა მიიღეს პროფ. ბილიმოვიჩმა, პროფ. კოსინსკიმ, ქალ. ერემეევმა, ურბანსკიმ და სხვ. სექციამ შემდეგ ეს საკითხი გადასცა ცალკე კომისიას, რომელმაც თავისი მოხსენება წარუდგინა ყველა სექციების საერთო კრებას.

კომისიის მოხსენების წინააღმდეგ უმთავრესად გაილაშქრა ქ. ერემეევამ, რომელიც სცდილობდა თავისი შესწორებანი, გლახთა ინტერესების დაცვისაკენ მიმართულნი, შეეტანა კრების დადგენილებაში. ზოგიერთი არსებითი შესწორებანი მან მაინც მოახერხა შეეტანა. ტეხისები შემდეგია:

1. ყველა საძოვარი და სატყეო სერვიტუტები ძლიერ საზარალო სასოფლო მეურნეობისთვის, და ყველა ეს ფორმები უნდა უსათუოდ ჩქარა მოისპოს იმ პირთა სამართლიანი დაჯილდოვებით, რომლებიც ამას მოაკლდებიან, და იმ ორგანიზაციათა საშუალებით, რომლებიც უზრუნველ ჰყოფენ სათანადო მოქმედებას.

2. სერვიტუტების ლიკვიდაცია უნდა იყოს ძალდატანებითი და არამც თუ მხოლოდ ერთ-ერთ დანტერესებული მხარის განცხადებით, არამედ საზოგადოდ—ძალდატანებითი მმართველობის ინიციატივით.

3. სერვიტუტების რაოდენობა განისაზღვრება ნაქონ იურიდიულ დოკუმენტებით; თუ ეს დოკუმენტები არ ასაფუძვლებენ სერვიტუტების რაოდენობას, მაშინ იგი განისაზღვრება სერვიტუტის ფაქტიური მფლობელობით.

4. სერვიტუტის უფლება არ ისპობა დროს მიხედვით (по давности).

5. რადგანაც გლახებს ესპობათ საძოვრის სერვიტუტის უფლება, იმათ უნდა მიეცეთ საფასურად სხვა მიწები, და უსათუოდ მიწები და არა ფული.

6. ეს საძოვარი სერვიტუტები შეფასდება სერვიტუტის მოედნის, როგორც საძოვრის, ღირებულობის დაგვარად.

პროფ. კოსინსკიმ ამ მუხლში კიდევ შემდეგი

შესწორება შეიტანა: „საძოვრის სერვიტუტების შეფასების დროს საქიროა მხედველობაში მივიღოთ მთელი მეურნეობითი მნიშვნელობა სერვიტუტისა, როგორც საძოვარი ადგილისა გლეხებისთვის, და ამ უკანასკნელთ უნდა მიიღონ საღირსად საძოვრის ან სხვა გვარი მიწის იმდენი, რომ იმათ შეეძლოთ შეინახონ თავისა მეურნეობაში საქონლის იგივე რიცხვი, და რომ სერვიტუტის მოსპობამ, სხვა ყველა თანაბარ პირობებში, გლეხის მესაქონლეობას ზიანი არ მიაყენოს.“

7. იმ შემთხვევაში, როცა საგლეხო მესაქონლეობა არსებითად დამყარებულია სერვიტუტის საძოვარზედ საღირსის მიწით მიცემა შეძლებისდაგვარად უნდა სწარმოებდეს საძოვრისვე სახით.

8. ნორმათ ამ საღირსის განსაზღვრისა უნდა იყოს უკანასკნელ ხუთს წელში ნაყოლი რაოდენობა საქონლისა.

9. მემამულეებისაგან მიღებული მიწა გაუქმებულ სერვიტუტების საღირსად უნდა გადაეცეს საგლეხო საზოგადოებას.

აი ეს დადგენილებანი გამოიტანა კიევში მომხდარმა სრ.-რუსეთის სასოფლო-სამეურნეო კრებამ სერვიტუტების ლიკვიდაციის შესახებ.

გ. ნ - ძე.

## ზატარა ფელეტონი

დღიური.

### 20 ქრისტიანობისთვის 1912 წელი.

გორში აპირებენ დააარსონ საზოგადოება „მანდილოსანი“; დღეს კრება ჰქონიათ და აურჩევით ახალი გამგეობა!

ღიად, სასიამოვნო მოვლენაა! იღვიძებს და საზოგადო საქმეში ებმის ქართველი ქალიც.

### 27 ენკენისთვის 1913 წელი.

გორში ოფიციალურად დაარსდა ქართველ ქალთა საზოგადოება „მანდილოსანი“; დღეს კრება ჰქონიათ და აურჩევით ახალი გამგეობა.

ჩვენი ცხოვრება სულ წინ მიდის. ეს ახალი საზოგადოებაც ჩვენი ქალებისა ამის მაჩვენებელია, და მე მის ოფიციალურად დაარსებას დიდის აღტაცებითა და იმედით შევხვდი!

### 4 ღვინობისთვის იგივე 1913 წელი.

გორის „მანდილოსანს“ კრება კიდევ ჰქონდა და კვლავ ახალი გამგეობა აურჩევია.

აგრე უნდა მოქმედება-მუშაობა, აი! ალბათ ის გამგეობა უსაქმო გამოდგა, მთელი ერთი კვირის განმავლობაში არაფერი გააკეთა, და გამოსცვალეს იგი. ყოჩაღად მოქცეულან, ღმერთმანი. ჩვეულებრივ, ჩვენ საზოგადოებათა გამგეობაში თუ მოიკალათა ვინმე, ძნელია მისი იქიდგან დაძვრა. ყველაც რომ მომდღრა იყოს, პირში მაინც ვერ უბედავენ ხოლმე, აქ კი... პირდაპირ გამოუცხადებით უნდობლობა და ახალი გამგეობა აურჩევით. აგრეც უნდა საქმის გაკეთება!..

### 11 ღვინობისთვის

დღესაც ჰქონია გორის „მანდილოსანს“ კრება და კვლავ ახალი გამგეობა აურჩევია.

ჰმ... ვგონებ ეს კი ცოტა ხშირ-ხშირად არის!

### 18 და 25 ღვინობისთვის

როგორც გაზეთები სწერენ, გორის „მანდილოსანს“ კიდევ კრებები ჰქონია ამ დღეებშიაც და ორთავე კრებებზედ ახალი გამგეობა აურჩევია.

?!?..

### 7 გიორგობისთვის.

დღეს კვლავ წავიკითხე გორიდგან კორესპონდენტია ბ-ნ სანგანიძისა. წარმოიდგინეთ, გორის „მანდილოსანს“ კიდევ ჰქონია კრება და... ღმერთო ჩემო... კიდევ ახალ-ახალი გამგეობაანი აურჩევია.

### 14 გიორგობისთვის.

კიდევ, კიდევ ახალი გამგეობა ამოურჩევია გორის „მანდილოსანს“. განა არა, ვამბობდი თუ სანგანიძის წერილი შემხვდა გაზეთში, აღარ წავიკითხო, რადგანაც წინაღვე ვიცი, გორის „მანდილოსანს“ კრება ექნებოდა და ახალს გამგეობას აირჩევდნენ—მეთქი. მაინც გულმა არ მომითმინა და აი... კიდევ აურჩევით!

### 21 გიორგობისთვის.

გაზეთს გაურბი ამ ბოლო დროს, მაგრამ მაინც ქუჩაში აკი შემხვდა მეგობარი და იცით რა რა მითხრა? გორის „მანდილოსანსაო“... მაგრამ აღარ დავათავებინე და გავიქეცი. ვიცი, კიდევ ახალ გამგეობას აარჩევდა...

მეგობრის შეხვედრის შემდეგ სახლში სულ ქანით მივედი. მინდა ვიანგარიშო ეხლა, მთელს თავის არსებობაში. რამდენი გამგეობა აურჩევია

გორის „მანდილოსანს“ სულ უნდა აერჩია, ვგონებ, ოცდა ათი გამგეობა. თუ თითო გამგეობას სამი წლით მაინც ირჩევს, მაშინ მას უკვე 90 წელი აქვს გავლილი ისტორიაში.

ამბობენ, ქალები ხშირად თავს იპატარავებენ და წლებს იკლებენო. გორის „მანდილოსანის“ მაგალითი სრულიად ამის წინააღმდეგს გვიჩვენებს.

გორელი.

## ქართველი მაჰმადიანი ქალი ქართულ სკოლაში

ამ ზაფხულს, ქართველ მაჰმადიანებში მოკზაურობის დროს, შევიპირე ერთი ქართველი მაჰმადიანი ბეგი, იმის ერთ ქალს, სახელად ბოლორა მუხრანსკის, სადმე ქართულ სკოლაში მივადებინებდით, რომ მაჰმადიან ვაყებთან ერთად ქალებსაც გახსნოდათ გზა ჩვენს ეროვნულ სკოლებში. ბევრი ცდისა და წვალების შემდეგ თითქმის იმედი გადავიწყდა ბილორას სკოლაში მოთავსებისა.

ამის შესახებ ვაზეთში მოთავსებულ წერილს ყურადღება მიაქცია ამ ბაკშვს გორში ქართველ ქალთა ჭრა-კერვის სკოლის დამაარსებელმა ქ. ელენე თარხან-მოურავმა, და მთხოვა მისი ჩამოყვანა თავის მიერ დაარსებულ სასწავლებელში, და ეხლა ის ბავშვი უკვე იწყობება ამ სასწავლებელში.

ჩვენ და მისი მშობლებიც დიდს მადლობას ვუცხადებთ ქალბატონ ელენე თარხან-მოურავს, რომელმაც ისედაც გაპირვებულ სკოლაში გზა მისცა ქართველ მაჰმადიან ქალს უფასოდ აღზრდისა.

ეს პირველი მაგალითია მთელი ახალციხის მაზრის ქართველ მაჰმადიან მცხოვრებლებში, ქალის ქართულ სკოლაში მიცემისა.

იმედია ქალბატონ ელენე თარხან-მოურავის მაგალითს, სხვა ქართული სკოლებიც მიჰბაძავენ, და იმედს მოგვცემენ თავიანთ სკოლებში გზას გაუხსნიან ქართველ მაჰმადიან ბავშვებს.

იასონ კერესელიძე.

## სრ. რუსეთის სასოფ.-სამეურნო კრება ქ. კიევიში

(გაგრძელება)

ბალოსნობის სექციის კრებებსზედ წაიკითხეს სრული 33 მოხსენება. ჩვენთვის აქ უფრო საინტერესოა მოხსენება ქალ. ბაქანავისა, თუ როგორ უნდა ვისარგებლოთ საუკეთესოდ ქვიშიანი ნიადაგით, ვენახის გასაშენებლად. მომხსენებელს რამდენიმე საცდელი ვენახი გაქმართავს ქვიშიან ნიადაგში, და საუკეთესო ყურძენი მიუღია.

საზოგადო აგრონომიის სექციაში პირველი მოხსენება ვ. ბრუნსტიასა და შეეხება სოფლად საზოგადო ეკონომიური მოქმედების გრადკმას. მომხსენებელის აზრით, თანამედროვე ეკონომიური მოქმედება კრების ბევრს ფულს ითხოვს, შედეგები კი საკლები აქვს, რადგანაც ის უმთავრესად დამყარებულია საქმეკლემოქმედო საფუძველზე, და არა მცხოვრებლების თვით-მოქმედებაზე. უფასო თესლი, იარაღი, ყოველივე მატერიალური დახმარება კრების გლეხს გადასჩვევს სამეურნო უაზრათს, ჰკლავს მასში ინიციატივას, და აგდებს მას დამასუსტებელ „თუქვაში“. ჩვენ კი უნდა ვცდილობდეთ გაუფლავებოთ მას ინიციატივა საქმისადმი, ავამადლოთ მისი თვითშემეცნება და ეკონომიური თვითდახმარების გზაზე უნდა დაუყენოთ კოლხურატივების შემწეობით. გამშირავებელი სადგურები, სისოფლო-სამეურნო საწოები და ყველა საშავალითო ზომები მიღება უნდა თვით კოლხურატივების, ე. ი. გლეხების საქმე იყოს, კრება კი უნდა ეცდოს გლეხობა და სოფელი კულტურულად ააყვავოს, ამბობდა მომხსენებელი.

კრებაზედ გამოითქვა, რომ სოფლის ცხოვრებაში მართლაც ახალგაზრდა სიცოცხლით სავსე სასოფლო-სამეურნო კოლხურატივებსა და დასვენებულ წოდებურ კრების შუა მართლც თანდათან ჩნდება კონსულიტი. ზოგიერთს გუბერნაებში ეს უფრო ცხადია; შეტადრე იქ, სადაც კოლხურატივა უფრო განვითარებულია, როგორც მაგალითად ორლავის გუბერნიაში, სადაც კოლხურატივებს აქვთ უკვე 150 სასოფლო-სამეურნო საწოები მაგრამ რადგანაც საზოგადო კოლხურატივა მხოლოდ დღევანდელი წარმომადგენელია, და სულ ზატარა დროა რაც მას ნება დართეს ქვეყნად ეცხოვრა, ამიტომ სექციის კრება ჯერ ვერ შედგეს მაინც შეძლებს კრების მთელი ეკონომიური მოქმედება იმათ გადასცეს. მხოლოდ ერთ

ბა უნდა ეცადოს და განავითაოს კომუნისტური მოძრაობა.

მეორე მოხსენება წაიკითხა ჩერნიგოვის სავაჭრო-სა-აგრონომია სოფლის სილატაკესთან დამოკიდებულობაში“ მისი მოხსენება შეეხება სოფლის პროლეტარისა და ნახევრად-პროლეტარის ბედის საკითხს.

მომხსენებელი უწინარეს ყოველის აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ აგრარობა „თავის უმთავრეს ძალას ხმარებს მხოლოდ მიწით, შედარებით, უსრულყოფილ წრეს სოფლისა. ძველად აგრარობა ხარდნიკული, დემოკრატიული იდეალებით შებურვილი ა. ფორტუნატოვისა და ა ჩუბრაგის იდეალებით, მოკვდა ესლანდელი აგრარობები ცოცხალ არსებათ კი არა შეუღიან, ესმაურების არა მიუზრნეთ. არამედ მიუზრნობას. სოფელში კი ბევრია ნახევრად პროლეტარი გლეხი, რომლებიც ვინცის რით გადაატარებს ხელში თავს წლიდან-წლამდე, თუმცა ისინი არც ისხობიან, ძალასა და სიტაცხლის სიმტკიცესაც დიდს იხიენ.

მოხსენებამ გამოიწვია დადი კამათი.

რასაკვირველია, სასოფლო-სამეურნეო კრებას არ შეეძლო არ შეერეულიყო იმ საზოგადო კულტურულ და უფლებებზე ზიარბეზებად, რომლებშიც იმყოფება რუსეთში უფველი კულტურული მუშაობა, და ამით რაცხვში აგრარობიულიც. თუ „მესამე წოდების“ სახელმწიფოს სამყაროს, მჭიდროდ ეხვეწება თანამედროვე რეჟიმის ჩარჩოებში და მთავრობას იგი ავანებს 17 ოქტომბერის მანიფესტს, რაღა გასაკვირველია, თუ ინტელიგენციას, რომელიც სოფლის კულტურის გასაუმჯობესებლად მუშაობს, აგრედვე გამოსულიყო პროტესტით იმ ბორკილებას წინააღმდეგ, რომელიც მას საშუალებას არ აძლევს მიჰვიდოდ იმომქედონ თავის საპროფესიო საზარეზებად, და აგრედვე მთავრობა — „დაკარგული დოკუმენტი“ — 17 ოქტომბრის დოკუმენტი. თუ „მესამე წოდება“ იმდურება და დრტინავს, რასაკვირველია „მესამე ელემენტიც“, რომელსაც თავის მხრებზე გადააქვს მთელი კულტურული მუშაობის ჭანხი არ გაჩემდებოდა.

ამ გვარი საპროტესტო მოხსენება იყო ქ. ერემკევისა „სოფელში აგრარობიული მუშაობის ზიარობათა შესახებ“, სადაც მომხსენებელმა თითო ჩაუყო კულტურული მუშაობის აარას, გამოჩინა სოფლის წეობილების დაავადება, მდიდრად დაასურათა გლეხიკაცის უფლება მდგომარეობა და აღმინისტრაციის თვითხეობა. გადასცა კრებას რა აწიოკება-დარბევას განიღვის გლეხი უფველ წლიკ, ხარჯის აკრევის დროს და სხვ. კრებამ მიიღო

სოფლად გავრცელდეს სახალხო განათლება, გლეხთან სხვა წოდებებთან უფლებით კათანასწორება მისი ზიარობისა და სარხოს დასაცავად, სწავლება სამშობლო ენაზე, ერობის არჩევნებში მონაწილეობის მიღება ჰქონდეს უფვლას, თვით ქალებსაც, და 17 ოქტომბრის მანიფესტის სრული განხორციელება ცხავრებაში, რადგანაც უამისოდ აგრარობის მოქმედება სოფლად შეუძლებელია. აქვე მოვეანილი იყო ბევრი მავალითი, თუ რა წინააღმდეგობას განიღვის აგრარობები აღმინისტრაციის მხრით, როგორ ეღობებთან მათ ხალხთან დახლოებას წინ, როგორ მათში ნათხევი ნებისთვის ხალხთან სასაუბროდ მხოლოდ სექტემბერში აძლევენ და კიდევ ბევრი სხვაც.

გ. ნამორადე.

### ქართული თეატრი

31 ღვინობისთვის ქართულ თეატრში ვასო აბაშიძის ბენეფისი იყო. წარმოადგინეს „უბრეტენზიო კომედია“ ვ. შალიკაშვილისა და ოპერეტა „მეჯლისი იტალიელებით“ მუსიკა ოფენბახისა, თარგ. ვ. აბაშიძისა.

ჩვენ არ გვინდა შევჩერდეთ იმაზე, თუ რა უხეიროდ ჩაიარა ოპერეტამ, რომლის მელოდიური მუსიკა შერყვნილი იყო ჩვენი არტისტების არა მუსიკალური ბლავილით არტისტ ქალთა წრიზინით; არ გვინდა შევჩერდეთ იმაზეც, თუ საზოგადოდ რა აზრი აქვს ასეთს უაზრო წარმოდგენას ქართული საზოგადოებისათვის. დღეს გვინდა შევჩერდეთ იმ უცნაურ ამბავზე, რომ უკანასკნელ დროს ქართული სცენა დაიპყრო ბ.ნ. ვ. შალიკაშვილის შემოქმედებამ, რომელშიაც ნაძალადევი აზროვნება ბევრია და ღვთიური ნაპერწკლისა კი ნატამალი არსადა სჩანს. მისი „გადაჭრილი მუხა“, ეს რალაც მოზიკაა პუბლიცისტური სტატიების ნაგლეჯებისა, უხვად შეზავებული არა მარტო არაჩვეულებრივის, არამედ პირდაპირ შეთითხნილ-შეთხზულ ტიპების სიმრავით. იქ გ მოყვანილი ქალები, კაცები, იღენადვე შეეფერებიან ქართულ ცხოვრებას, როგორც ის გადაჭრილი(?)მუხა, რომლის შესახებ მთელი სცენების განმავლობაში ნაძალადევი ღმუჯვენ არტისტები, რომ მაყურებელს შეასმინონ — ეს მუხა — სიმბოლოა ქართულის ცხოვრებისა.

„გადაჭრილ მუხას“, მოჰყვა არა ნაკლებად

გადაჭრილი სილატაკე შემოქმედებისა „უნიადაგონის“ სახით. ამ პიესა, „უნიადაგონი“-ს მაგიერ თამიმად შეიძლება დაერქვას თუნდ ათასი სხვა სახელიც, რადგან ის აზრი, რომლითაც სათაური უნდა გამოხატავდეს შინაარსის იდეას, სრულიად უცნობი უნდა იყვეს შალიკაშვილისათვის და ერთი ეპიზოდური მოვლენის სახელით მთელი პიესის მონათვლა, სხვა ნაკლებთან ერთად ჰქმნის ისეთს მდგომარეობას, რომ კაცმა არ იცის, რა უნდა, რას ებრძვის ავტორი:

ამორჩეული საზოგადო მოღვაწე, რომელიც „რაღაც“ (?) ბნელ საქმეებს აკეთებს და ამით ფულს იღებს, მისი მოურავი, რომელიც „რაღაც“ (?) საქმეებში შველის და კი არაფერ იცის როგორ, მისი ცოლი, რომელიც 18 წლის განმავლობაში ემორჩილება ქმრის დესპოტიზმს და ბოლოს მაინც გაჰყვება საყვარელ ადამიანს; მისი ქალ-ვაჟი, რომელთაც 16 17 წლამდის წარმოდგენა არა აქვთ თავის მამის „ბნელ“ საქმეებზე და ისეთი გულუბრყვილონი არიან, რომ პირველსავე თვალის გახეილზე ცხოვრების სიბინძურეზე—თავს იკლავენ, სახლიდან გარბიან და სხ.

ყველა ეს განუწყვეტლივ აფიქრებინებს მსმენელს—საიდან გამოქეჩა ესეთი ტიპები, საიდან და როგორ გადააბა ერთმანეთს ქართული ენა ქართული ცხოვრება ამ მართლაც უნიადაგო პიესას, რომელსაც ძირები ვ. შალიკაშვილის ფანტაზიაში თუ აქვს, მხოლოდ ქართულ სინამდვილესთან არაფერი საერთო.

მაგრამ ბ. შალიკაშვილმა „ნაყოფიერების“ აპოგეის მიაღწია „უპრეტენზიო კომედიაში“. მე ისე მაქვს წარმოდგენილი, რომ ბ. შალიკაშვილს უთხრა ვინმე: შენს პიესებში ბევრი იუმორისტული და სასაცილო ელემენტები არის, სცადე, კომედია დასწერე და უთუოდ კარგი გამოვაო, შალიკაშვილმაც სცადა და თუ „ცდა ბედის მონახევრე არ გამოუვიდა“, ჩვენ, მსმენელნი, უბედობის მონახევრენი გავგვხადა.

ეს რაღაც კვანძია, რგოლი ყოველნაირ გარყვნილებისა, საცა აღარც ერთი ადამიანი არ დარჩენილა პატიოსანი, ყველანი ერთმანეთს ატყუებენ, ღალატობენ; ქალები, თუ კაცები, მსახურნი თუ ბატონნი მოურიდებლად არშიყობენ და გარყვნილებას ეძლევიან, შეგირდები და მოსწავლენი და სხვა და სხვა და მათში მხოლოდ ერთია „პატიოსანი“ თამარი, რომელიც თავის კარგი მიზნების მისაღწევად არაფითარ ხერხსა და სისაძაგლეს არ

ერიდება. ყველა ამ, არ ვიცი საიდან **გადმოღებულ** ამბავს, საღაც ბალაგანური ხასიათი სდევს და აქა-იქ გაბნეული საოხუნჯო ნაკვეთებიც ვერა შევლიან ვერაფერს. ბევრნი ამბობდნენ, რომ უკანასკნელი მუნჯური სცენა,—იმის შემდეგ, როცა თამარი სიკო დარღუბანიძის სახლში ყველას გალანძღავს, თავზე ლაფს დაასხამს და გავა—კარგი არისო. მართლაც ეს სცენა იმდენად სჯობდა დანარჩენ „მეტყველ“ სცენებს, რომ კარგი იქნებოდა მთელი პიესა დამუნჯებულიყო და... პანტომიმის სახით გადასულიყო ძმ. ესიკოვსკების ცირკში, საცა საპატიო ადგილს დაიჭერდა მოქიდავეთა, მასხარათა და მოთამაშე ცხოველთა შორის, თორემ თეატრის დასამშვენებლად ეს ვერაფერი ხერხი არის მოგონილი დრამატული საზოგადოებისაგან, რომელიც მოწვეულია განავითაროს და დაატკბოს მსმენელთა და მაყურებელთა ესთეტიური გრძნობა და ავგინთოს სული.

ყველა ამასთან უნდა ითქვას, რომ არტისტები, კარგად ასრულებდნენ თავის როლებს და, რაც უფრო გასაკვირველია, ყველამ კარგად იცოდა, რაც სათქმელი და გასაკეთებელი ჰქონდა. ეს ისეთი იშვიათი მოვლენაა ქართულ თეატრში, რომ ამ უმგვანო პიესასაც კი რაღაც მწყობრი, თითქმის მთლიანი ხასიათი მიეცა. ქ-ნი დავითაშვილი თამარის როლში მეტად მოხდენილი და კარგი აღმასრულებელი გამოდგა, მაგრამ შინაარსის სიყალბე მასაც ყალბ მდგომარეობაში აყენებდა და რეჟონერის როლს აკისრებდა. ვ. აბაშიძე—ანდრეჟაფარის როლში და ე. ჩერქეზიშვილი—სიკლიტიკისაში (ეს სახელიც ერთი იუმორისტული (?) ელემენტთაგანი იყო პიესაში) ჩინებულნი იყვნენ, და ქართულის მაგივრად აფრიკანულად რომ ელაპარაკნათ, იქნება სინამდვილესაც მიახლოვებოდნენ და ბ-ნ შალიკაშვილის იდეასაც, კარგები იყვნენ კ. მესხი—დარღუბანიკად და ახალგაზრდა იუმონა—თოიძე, რომელსაც თითქო ეტყობა თანდათან წარმატება; და ყველას სჯობდა თვით ბ-ნი შალიკაშვილი, რომელმაც თამაშობის დროს ყოველთვის „იცის, რას სჩადის“ და, როგორც ეტყობა, როცა სწერს—ეს არ იცის. ვუსურვებთ გადვენებას საკუთარი არტისტული ნიჭისა და თავის დანებებას, საცა არ უჭრის.

რაე.


რედაქტორ-გამომცემელი

რ. გაბაშვილი.

# მ ო რ თ ხ ო ვ ე თ ყ ვ ე ლ გ ა ნ

## კოოპერატიული ღვინო


### საზოგადოება „კახეთი“-სა



ეზო საზოგადოება „კახეთისა“: ღვინის მოტანა და გატანა

საზოგადოებას 15 წლის განმავლობაში გაუყიდა 1,000,000 ვედრო ღვინო 3,000,000 მან.

საზოგადოებას აქვს განყოფილებანი: ბაქოში, ასხაბადში, ტაშკენტში. ბათომში, მოსკოვში, არმავირში, ალექსანდროპოლში, ეკატერინოდარში.



სარდაფი „კახეთისა“: ღვინის გადაღებ-გადმოღება

საზოგადოების ადრესი: თბილისი, გოგოლის ქუჩა, საზოგადოება „კახეთი“

მევენახეთა საზოგადოება „კახეთი“ დაარსებულია 1894 წელს. საზოგადოებაში არის 164 წევრი. „კახეთის“ საზოგადოების წევრებს აქვთ 666<sup>1</sup>/<sub>2</sub> დესთინა ვენახი, საიდანაც უზიდავენ საზოგადოებას ნამდვილ კახურ ღვინოს!

## კალა ერთობაშია!

კახელებო! ჩაწერეთ საზოგადოების წევრებად და ამით დაიხსენით თქვენი სარჩო-საბადებელი სირაჯ-ჩარჩების ცარცვისაგან და მასთან ერთად შეუწყეთ ხელი ღვინით და საქმეში მონაწილეობით. ყოველ კახელისთვის ფრიად სასარგებლო „საზოგადოების“ გაფართოვება— გაძლიერება, მისი წევრების გაძლიერების და გამდიდრების მომასწავებელია.

უპანასკნელ დროს საზოგადოების საქმიანი მოწახიობებული და მკვიდრად დაქმნებულია.

მორთხევით საზოგადოების წესდება.